


№ 41.—1914 მიიღება ხელმოწერა 1915 წ. „თეატრი და ცხოვრება"-ზე 14 ქრისტეშობისთვე



საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი
ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.
(1852—1914)

№ 41

# შინაარსი:


1. **მეთაური** —მაშ რა გზას დავადგეთ? 1
2. **ი— ი**—საზოგადო მოღვაწე და ქველ-მოქმედი ლ. კ. ზუბალაშვილი 2
3. **კიკნა-ფშაველა**—კი არა ჰგავს ჩემს სამშობლოს... 3
4. **გ. დ. ჟურული** - სიტყვა ხელმწიფის წინაშე 4
5. **იოს. იმედაშვი ლი** – არწივის ბარტყები 5
6. **ი. გრიშაშვილი**—ცრემლების კრია-ლოსანი, დამტვრეული პოემა 6
7. **მსახიობქალი მ. მდივანი** 8
8. **გ. ლეონიძე**—მეც მწამს... „
9. **იოსებ გედევანიშვილი**—სინათლე, —ნაწილი მეორე (ზღაპარი-ფეერია 3 მოქ. და 7 სურ.) „
10. **გიორგი ჯაბადარი**—დიქცია, (გაგ-რძელება) 12
11. **ვ. საყვარელიძე**—კომპოზიტორ ფოცხვერაშვილის კონცერტი 13
12. **ნიკო გურული**—ხაშურის თეატრის გარშემო 14
13. **ქართული სახიობა** 15
14. **წვრილი ამბები** 16

**სურათები; განცხადებანი;**


სახალხო სახლი

**ოთხშაბათს, 17 დეკემბერს 1914 წ.**

თბილ. ქართ. დრამ. დასის ამხანაგობის **მიერ** წარმოდგენილ იქნება პირველად ახალი პიესა

## გაწყვეტილი სიმი

დრამა 4 მოქმ. გარდელისა

მონაწილეობს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი სად $7^1/_2$ ს

რეჟისორი **ალ. წუწუნავა**

---

**მუსულმანთა აუდიტორია ხარფუხში**

**შაბათს, 20 დეკემბერს 1914 წ.**

ქართული სცენის მოყვარეთაგან წარმოდგე-ნილი იქნება პირველად ახალი პიესა

## შურის ძიება

დრამა 5 მოქ. და 6 სურათად ვ. გიგოშვილისა,

**დასაწყისი საღამოს 7 საათზე**

ბილეთების ფასი: 60 კ. 20 კ.-მდე ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე 5-8 ს.

რეჟისორი **ს. პეპანოვი**

გამგე **ყანდაურელი**

---

**ავლაბრის სახალხო თეატრი**

**კვირას, 14 დეკემბერს 1914 წ.**

## უმუშევარნი

დრამა 4. მოქ. თარგ. ა. ცაგარელისა

დასაწყისი საღამოს 7 საათ.

ფასი: 50 კ. 4 კ-ადე.

**მორიგე** გამგე **მ. აბაშიძე**

ადმინისტ. **თ. ნახიძე**

---

# სახალხო სახლში

**შაბათს, 20 დეკემბერს,**

**გაიმართება**

# კონცერტი

## კ. გ. ფოცხვერაშვილისა

კონცერტის პროგრამაში შედის: საუკეთესო ჰანგები პეტროგრადში გამართულ კონცერტისა და აგრეთვე ქართული ხალხური სიმღერები,

შემუშავებული გუნდისა და ორკესტრისათვის **კ. ფოცხვერაშვილის** მიერ. სხვათა შორის შესრულებულ იქნება პირველი ქართული ფუგა **„მუშლი მუხასა“** კ. ფოცხვერაშვილისა, და ამავე ავტორის სიმფონიური **პოემა** **„თქმულება ამირანზე“** ცოცხალი სურათებით (სურათებს დასდგავს რეჟისო-რი ალ. წუწუნავა)

**მონაწილეობას მიიღებენ:** კერძო მომღერალთა გუნდი და „ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი

ბილეთები 20 კ 2 მანეთამდე. იყიდება „სახალხო სახლის“ კასაში ჩვეულებრივ დროს

**დასაწყისი სად. $7^1/_2$ საათზე** — ლოტბარი **კ. ფოცხვერაშვილი**




№ 41

წ. II

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის-მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 41 | კვირა 14 ქრისტეშობისთვე | 1914 წ.



მიიღება ხელმოწერა 1915 წ.

ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტ. სახელოვნო-სამხატვრო და საზოგ. შინაარსის ჟურნალ

| წელიწადი მესამე | „თეატრი და ცხოვრება“-ზე | წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მ. |
|---|---|---|

ჩვეულებრივის პროგრამით ივანე გომართელისა და იოსებ იმედაშვილის რედაქციით


## 14 ქრისტეშობისთვე

**მაშ რა გზას დავადგეთ?**

ქორს ის ენატრება, მამლაყინწა მამლაყინწას წაეკიდოს, ერთმა მეორე დაქოჩროს, რომ მტაცებელმა უფრო უშიშრად გაიტაცოს...

ჩვენებური მამლაყინწები კი ვერა ჰგრძნობენ ამას: ოღონდ ერთმანეთი დაქოჩრონ, და რა ენაღვლებათ, თუ მათვე საზრუნავად დარჩენილი საქმე განიავწყლდება...

ასეთ მწარე დასკვნამდე მიგვიყვანა უკანასკნელ დროს მომხდარმა კრებებმა და მათზე გაჯირითებულ სიტყვოსანთა კამათმა...

თუ საერთაშორისო მუშათა კავშირის ბელადნი, უცხოეთის მოწინავე დემოკრატიის მესვეურნი კაცთა შორისი ძმობის ქადაგების დროსაც-კი იძახდენ, ჩვენს სამშობლოს რომ რაიმე ხიფათი მოელოდეს გარეშედან, პირველად ჩვენ ავისხავთ იარაღს მტრის საწინააღმდეგოთო, და დღეს ეს სიტყვები უკვე საქმედ იქცა, ჩვენი ხალხის მესვეურნი, ერთხელვე გაკერპებულნი, იძახიან: თუ ჩვენი სიტყვა და „მიზანი“ არ გაიმარჯვებს, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო!.

კმარა ბატონებო, ამხანაგებო, მეგობრებო, კმარა!..

დღეს ჩვენს სამშობლოს უდიდესი განსაცდელი ადგია კარს: ჩვენის ქვეყნის ბედოვლათ შვილთა წყალობით სამშობლო მიწა-წყალის დიდი ნაწილი ხელიდან წაგვივიდა, ბევრი ქართველთა წინდაუხედაობით თუ გარეშე პირობათა გავლენით ბევრი უფლება დავკარგეთ, ახლა კიდევ ლამის არის უცხო კულტურამა და შინაურ თუ გარეშე მტერთა წყალობით ჩვენი სულიერად აღორძინების საშუალებანიც მოგვესპოს..

ჩვენი მესვეურნი-კი ურთიერთს ექიშპებიან — არა ჩვენა ვართ უკეთესი მამულიშვილნი, არა ჩვენაო...

ერთის წინ წასაწევ საქმეს მეორე უკანა ჰხევს პირდაპირის თუ არა პირდაპირის გზით...

და ეს იმიტომ, რომ ყველა თავისი სარწმუნოებით ცდილობს ხალხზე გაბატონებას...

ის კი ავიწყდებათ, რომ ყველა სარწმუნოება-მოძღვრების მიმდევართ ერთი სამშობლო გვაქვს, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში წინაპართა სისხლით და ოფლით მორწყული...

სარწმუნოება სარწმუნოებად დარჩეს, მოძღვრება—მოძღვრებად და ხალხოსნობა-ეროვნება კი—თავისად...

ჩვენში ხომ არიან ქრისტეანე ქართველები, ქართველი კათოლიკენი, ქართველი მაჰმადიანები, ქართველი გრიგორიანები, სპარსელი ქართველები,—ყველანი ერთის დედის შვილები, მაგრამ ჟამთა ვითარებისა გამო დაქსაქსულნი: დადგება დრო და ჩვენ ერთი კერის გარეშემო შევჯგუფდებით, ვინაიდან ჩვენ ერთის გვარტომის შთამომავალნი ვართ...

აგრეთვე ჩვენ გვყავანან სხვა და სხვა მიმართულება-მიმდინარეობისა და ხანის წევრნი, მაგრამ ვინ იქნება ისეთი, ი.ითოეულად მათი დამსახურება რომ უარ'ყოს: 60-იან წლების მოღვაწენი, 80 იანები, 90-იანები, 900-იანები და, ბოლოს, ჩვენი დროისა. ყველა მათგანი თვის შეგნებისამებრ ემსახურებოდა და ემსახურება სამშობლოს: ერთი თაობა მეორის შთამომავალია, 90-ინთა საფუძველზე 80-იანნი აღმოცენდენ, 60-იანზე 90-იანნი და სხ, და ასეთი წინსვლით რომ არ გვევლო, ხომ ერთ წერტილზე უნდა გავყინულიყავით!..

ყველაზე ძლიერი მოძრაობა შექმნა 90-იან წლების მოღვაწეთა ჯგუფმა, მესამე დასად წოდებულმა: ამან აამოძრავა მთელი ქართველი ხალხი, გაურკვეველ მასსიდან გარკვეული სახენი ჩამოაყალიბა და ნუ თუ შეიძლება მისი უარყოფა?

მაგრამ ის, რაც ამ ჯგუფმა თავიდანვე ვერ შეიტანა თვის მოძღვრებაში და საკუთარი სახით სიარულს სხვის დროშის ქვეშ შეფარება არჩია, შეიტანა 900 იან წლებში წარმოშობილმა ჯგუფმა, რომელმაც ქართველ დემოკრატიის საერთაშორისო მისწრაფება-მცნებათა გარდა, სამშობლო-მამულის სიყვარულიც, თვითმართველობის მოპოების საჭიროებაც მოაგონა... ორივე მიმდინარეობის მესვეურთ დიდი ბრძოლა დასჭირდათ.. დღეს სწორედ ამ ორი მიმდინარეობის შედუღების ხანაშია ჩვენი ქვეყანა და ვინც კი — სხვა და სხვა მიმართულება,-მიმდინარეობის მომხრეთაგან,--საყვედურის ქვას ესვრის ერთის მხრით მეორეს, იგი მტერი იქნება არა მხოლოდ თვისი სამშობლოსი, არამედ საერთაშორისო დემოკრატიისაც...

ორივე მიმდინარეობას დიდი წილი უძევს ჩვენის ხალხის გათვითცნობიერებაში, ჩვენის მომავლის საძირკვლის ჩაყრაში და ერთს მეორის გმობა არ ჰმართებს...

დაე, გვქონდეს საკუთარი რწმენა-სარწმუნოებანი, მაგრამ სამშობლოს განსაცდელის ჟამს ხელი-ხელ ჩაკიდებულნი უნდა ვმუშაობდეთ ჩვენი კულტურულ-საზოგადოებრივ წინსვლის ასპარეზზე..

აი, რას გვიკარნახებს დღეს ჩვენ უმაგალითო საერთაშორისო ომი..

აი რა გზას უნდა დავადგეთ ჩვენ ყველანი, მიმართულების განურჩევლად...



საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი

# ლევან კ. ზუბალაშვილი

(1852—1914)

„საქმემან შენმან გამხილოს შენო!" ეს სიტყვები უფრო მეტად ახასიათებს ყოველს ჭეშმარიტ მოქალაქეს, მოძმეთა გულშემატკივარსა და კეთილმოქმედს, ვიდრე მრავალ-კაბადონიანი წიგნები

ერთი ასეთი ადამიანთაგანი იყო ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი (ძმა ნეტარ ხსენებულ სტეფანესი და აწ მცოცხლებ პეტრესი და იაკობისა), რომელიც მოსკოვს გარდაიცვალა 6 ქრისტეშობისთვეს.

ლ. კ. ზუბალაშვილი დაიბადა ქ. ტფილისში, პატარობიდანვე პაპასთან—მიხეილ თუმანიშვილთან იზრდებოდა ქუთაისში და პირველდაწყებითი სწავლაც იქვე მიიღო, შემდეგ მოსკოვს გადასახლდა, დაცოლშვილიანდა, მერე დაქვრივდა, ბოლოს ერთადერთი შვილიც გარდაეცვალა, მაგრამ გული არ გაიტეხა, და თვისი გული-გონება, ძმათა მსგავსად ქველმოქმედებისკენ მიჰმართა.

ქველმოქმედ ძმათა ზუბალაშვილების სამაგალითო საქმენი ქართველთა გარდა უცხოელთაც კარგად უწყიან, რადგან ამ კეთილ ადამიანთ

უხვი ჯიბე ვიწრო ეროვნული თვალსაზრისით არ ხელმძღვანელობდა და ყველას ერთნაირად ეხმარებოდა...

საკუთარის ხარჯით ქ. თბილისში ააგეს სახალხო სახლი (მოქმედებს 1908 წლიდან), ყოველი მოწყობილებ სამკითხველოთი, სადაც მრავალს ენაზე იმართება იაფ-ფასიანი წარმოდგენები, კონცერტები, ლექციები და სხ. მრ. გონივრული გასართობნი; დააფუძნეს სამადლო სახლი და ბავშვთა საავადმყოფო ყველა ეროვნებისათვის .. მათი უხვი შემოწირულება ახლაც ახსოვს წ. კ. ს, რომელსაც, გარდა უკვე შეწირულისა, ყოველ-წლიურად ექვსასი თუმანი (6,000 მ.) ეძლევა ღარიბ მოწაფეთათვის სასტიპენდიოდ...

ყოველივე ამის გამო არ დაივიწყებს ჩვენი ქვეყანა ძმათა ზუბალაშვილთა და მარად ჟამს მადლობით მოიხსენიებს. ამავე კეთილ საქმეთათვის თბილისის საქალაქო თვითმართველობამ განსვენებული ლევანი და ძმანი მისნი თბილისის საპატიო მოქალაქეებად აირჩია...

აი, მოკლედ ასეთია ნათელი სახე ძმათა ზუბალაშვილთა, ხოლო კერძოდ აწ გარდაცვლილი ლევანის საზოგადო მოღვაწეობა და ქველმოქმედება იმითია სასახელო, რომ მისი მახლობელი მონაწილეობით აშენდა საბავშვო საავადმყოფო, მანვე შარშან თბილისის თვით. მართველობას შესწირა სახ სახ. გვერდზე მდებარე თავისი შენობა სახ. სახლის გასაფართოებლად, წელს ომის საჭიროებისათვის ნახევარი მილიონი დადასდო და, გარდა ამისა, მოსკოვში თავისი სახლი დაჭრილ მეომართათვის ლაზარეთის მოსაწყობად დაუთმო; რამდენიმე ხნის წინად თბილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია გაანთავისუფლა სომხეთა დავისაგან და სომეხ-კათოლიკეთა საკუთარი ეკლესიის ასაგებად 30,000 მან. გადასცა და მრ. სხვა. წელს, თეატრის დაწვის შემდეგ, დაბეჯითებით გავრცელდა ხმა, რომ განსვენებული უხვს შემოწირულებას უმზადებს თვის სამშობლოს თეატრის ასაგებად, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა აღარ აცალა: იგი გარდაიცვალა დაბადებიდან 62 წ.

მეტად სავალალოა სიკვდილი მისი, რომელიც ყველას გულში სიყვარულის ცეცხლს აღვივებდა, ბნელში მყოფთ სინათლისკენ მიიწვევდა, ტვირთმძიმეთ და საწყალთ სულიერ-ხორციელ საზრდოს უჩენდა...

ასეთი ადამიანები ჩვენს დახავსებულ დროზე მაღლა სდგანან და, ვითარცა მომავალის მოქალაქენი, მარადის უკეთესი ცხოვრების მოციქულებად დაჩებიან!..

და იყოსმცა საუკუნოდ ხსენება შენი, ძვირფასო ლევან!.. „და საქმემან შენმან გაცხონოს შენ".

ი—ი

## კი არა ჰგავს ჩემს სამშობლოს..

კი არა ჰგავს ჩემს სამშობლოს,
სადაც მარად ბრყინავს მთვარე,
სადაც მარად ზურმუხტ გულით,
თავს იწონებს არე-მარე...
სადაც მთები მწვანე ხავერდს
აშურებენ ნაკადულებს;
სადაც ტბები ყვავილებით
იქარგავენ ვერცხლის გულებს.
სადაც სხივით განთიადზე
ტყე მკერდს იკრავს ოქროს ღილით,
სადაც ფრინველთ კრიმანჭული
აჯადოებს არეს დილით...

* * *

აქ სიცოცხლე—სიკვდილია,
აქ ცა არის ბნელი, შავი
აქ გოლგოთის სამეფოა
სისხლის კალო გულსაკლავი..
აქ სპეტაკ თოვლს შეუსუდრავს
ყინულების მსხვერპლი არე,
აქ მონობის უღელს ზიდავს
თვალუწვდენი მძლავრი მხარე...
აქ ბუნების ცივ სამარეს
თავს დასტირის მწარედ ქარი,
აქ სიცოცხლეს ასაზრდოებს
მხოლოდ შავი გლოვის ზარი...

* * *

არა, არ ჰგავს ჩემს სამშობლოს,
სადაც მარად ბრწყინავს მთვარე:
სადაც მარად ზურმუხტ ველით
თავს იწონებს არე-მარე...
სადაც მთები მწვავე ხავერდს
აშურებენ ნაკადულებს
სადაც ტბები ყვავილებით
იქარგავენ ვერცხლის გულებს...

**კიკნა-ფშაველა**



გიორგი დურ. ყურული
რომელმაც ხელმწიფეს მოახსენა ქვემორე სიტყვა

# სიტყვა ხელმწიფის წინაშე
# გ. დ. ყურულის მიერ
## ქართ. კულტურულ დაწესებულებათა მხრით*)

დიდებულო ხელმწიფევ!

უსაზღვროდ ბედნიერია მართლმადიდებელი საქართველო, რომ ჰხედავს თვის სამშობლოს მთათა შორის რუსეთის მიწა-წყალის მპყრობელ წინამძღოლს, სრულიად რუსეთის დიდებულს იმპერატორსა, რომელსაც აგერ მეორე საუკუნეა ქართველთა მიწა-წყალი თავის ბუნებრივ ქართველ მეფედ ადიდებს.

წახალისებულნი შენის მოწყალე ნებართვით, წარმოვსდგებით შენის საღმრთო სახის წინაშე ჩვენ, წყნარნი მუშაკნი საქართველოს კულტურულ, საზოგადო და წოდებრივ ორგანიზაციათა, რომელნიც შეძლებისა და გვარად ვაკმაყოფილებთ ჩვენის ქვეყნის საერთო საჭიროებათაც, ვბედნიერდებით დავარწმუნოთ, ხელმწიფეო, რომ პირითა ჩვენითა ღაღადებს მთელი საქართველო, რომელმაც თანახმად მოწოდებისა შენისა ათი ათასობით გაგზავნა საუკეთესო ძენი თვისნი დასაცავად ჩვენის დიდებულის მამულისა

დღევანდელი დღე საუკუნო მოსაგონებლად დარჩება საქართველოს მცხოვრებთა გულში, ვინაიდგან შენ მოისურვე ნახვა ჩვენი ა'ქთ მძიმე ჟამსა, როდესაც ჩვენ ყველანი განმსჭვალულნი ვართ ერთითა ფიქრითა რუსეთის და შენის სამსახურისათვის, მორჭმულო წინამძღოლო.

უწყოდე, ხელმწიფევ, რომ ბრძოლებში გამოწრთობილი მახვილი, რომელიც შენის მოწოდებით ქარქაშიდან ამოიწოდა საქართველომ და, რომელიც წელზე შემოირტყა ნაცვლად გუთნისა — შრომის ამ მშვიდ იარაღისა — ჩაგებს ქარქაშში შენის ბრძანებით მაშინ, როდესაც სრულიად განხორციელდება აღთქმითნი სურვილნი შენნი და მხოლოდ მაშინ დავუბრუნდებით ჩვენს მშვიდობიან ველ-მინდვრებს და ამაყს მთა-გორებსა, აქ რუსეთის დარაჯებად რომ დგანან.

და გწამდეს, ხელმწიფევ, რომ საქართველო არ აღმსდგარა უფრო მეტის აღფრთოვანებით და გამარჯვების სრულის იმედით, როგორც დღეს.

მთელი ქვეყნიერება მოალმობიერა და მოაჯადოვა რუსეთის გვირგვინოსან პატრონ-პატრონის დიდებულმა დეწოდმა, სახელოვანი მხედრობა თვისი პატარა ერთა დასაცავად რომ გაგზავნა.

დღეს ცხოვლად გვესახებიან ბრწყინვალე კაბადონნი ჩვენის მრავალტანჯულ საქართველოს ისტორიისა, როდესაც მთელი ერი თვისს მეფეებთან ერთად, მათის წინამძღოლობით, მიდიოდა მტერზე წმიდა ეკლესიისა, თვისი ხალხოსნობისა, სამშობლო მიწა-წყალისა და მშობლიურ ენის დასაცავად.

ამ ქართულ სიწმიდეთა დაცვა დღეს, ხელმწიფევ, შენს მეფურს ხელშია და ჩვენც მშვიდათ მივდივართ, სადაც შენ მიგვიწოდებ მთელის რუსეთის სახელმწიფოს დიდებისათვის

ასრულებს რა თვის წმიდა მოვალეობას რუსეთისათვის, მეფის მოყვარულს საქართველოს სწამს, რომ არავითარიმე ძალას არ ძალუძს უკუაგდოს მისგან სიყვარული და მოწყალებანი მეფისანი და ჩვენ ვუწყით, რომ ჭრილობანი, წმიდა ჭრილობანი საქართველოს მეომრებისა, რომელნიც რუსეთის გმირებთან მხარდამხარ იბრძვიან მტერთან, ხელს შეუწყობენ ქართველის ერის მჭიდრო და განუყოფელად გაერთიანებას თვის მეფესთან და მთელ რუსეთთან.

ახლო არს ჟამი გამარჯვებისა და ჩვენ, ხელმწიფევ, ვსასოებთ, რომ შენ ხელახლად გვნახავ ჩვენ მშვიდობიან პირობებში, როდესაც ქართველი თვის სახლში ღვრის ოფლსა და ადიდებს რუსეთს, ადიდებს თვის ხელმწიფეს,

*) რუსულიდან ახალად თარგმნილი სოფ. მგალობლიშვილის მიერ,

ერთად-ერთს მოსარჩლესა, მფარველსა და დამ-ცველსა მის წმიდა-წმიდათა: ქართულ ეკლესიი-სა, ხალხოსნობისა, სამშობლო მიწა-წყალისა და მშობლიურ ენისა.

დაე, უფალმა მიანიჭოს გამარჯვება მახვი-ლსა შენსა, რომელიც აღმოიღე მართალ საქმის-თვის, მარჯვნით მპყრობელო წინამძღოლო ჩვენო.

და დაიფარონსცა უფლისა მპყრობელმან სიცოცხლე შენი მრავალჟამიერ რუსეთის ყველა ხალხთა საბედნიეროდ.

# არწივის ბარტყები

... მზესთან ახლო უყვარდა ნავარდი, მისი პირველი სხივებით ტკბობა, სუფთა ჰაე-რით სუნთქვა...

დედამიწას მაღლით დაჰყურებდა, თით-ქო მიწას მიკრულ მომაკვდავთა ცხოვრება ეუკადრისებაო, და თავისი ბუდეც მაღალ კლდის ნაპრალში ჰქონდა მიდგმული...

მწყემსმან ერთმან შენიშნა იგი, როდე-საც დედა არწივს თვისი ბარტყებისათვის სა-ზრდო მიჰქონდა . შენიშნა მუხანათმა ადა-მიანმა და მოისურვა დიდებულ ფრინველის ხელში ჩაგდება...

აცნობა ამხანაგებს და ბუდისკენ გაიწვია..

— ადვილი ხომ არა გგონია დედას,— ისიც არწივს, ფრინველთა მეფეს,— ბარტყე-ბი წაართო?!.

უთხრა ერთმა.

— ვითომ და რა იქნება?!

— ისა, რომ თავცოცხალი არ დაგანე-ბებთ...

თავხედებმა ყური არ უგდეს, ფეხთ წრიაპები აიკრეს და კლდის ნაპრალისკენ გასწიეს...

არწივმა რო შენიშნა მტერი, ისე სა-ზარლად დაჰქროლა, რომ მწყემს-დამცემთ თმა აებურძგნათ...

შიშმა შეიპყრო.

დედა არწივი არ ეშვებოდა. შე-შინებულთ გამოსჭრეს გრძელი სარები არწივის მოსაგერებლად და ბუდისაკენ აბობღდნენ...

გააფთრებული არწივი, დედა ბარტყები-სა, გაშმაგებით თავს დასტრიალებდა..

მწყემს-დამცემთ ბუდეში ორი ახლად დაბუმბლული ბარტყი დაჰხვდათ..

წაატანეს ხელი თუ არა, დედა-არწივმა მძლავრად დაჰქროლა, ერთს დააფრინდა, სახე დააბდღვნა და ცალი თვალიც ამოაგდე-ბინა ..

დაკოდილმა შეჰწივლა და ბარტყებს ხე-ლი უშვა. არწივი მოიგერიეს, ახლა მეორე წაეტანა ბარტყებს: ცალი ხელით დედას იგერიებდა, მეორეთი კი ორივე ბარტყი გუ-დაში ჩაუძახა და... თავქვე დაეშვნენ...

დედაც აედევნა ფრენით...

— დედაც დავიჭიროთ, დედაც, ქრიჰ-ტიანებო, შვილებს ნუ დავაშორებთ, თორემ მაგი ცოდვით ვერ მოვისვენებთ...

წამოიძახა ერთმა.

ბარტყები განგებ დასვეს ბუჩქის ძირას, შორი-ახლო ჩაუსაფრდენ მახით და დედა— არწივიც ბადეში მოიმწყვდიეს ..

არწივი ბარტყებიანად ბინაზე მიიყვანეს...

თვალებით ცეცხლს აკვესებდა ტყვე-დედა, ყველას მდუღვა-ზიზღით ულახვრავდა გულს...

ჩასვეს გალიაში...

და პყრობილიც-კი ისევე მეფე იყო, ამაყი, შეუდრეკელი...

დაამრეს ფრთები, დაამტვრიეს კვანჯები და.. თუმცა მაღლა ფრენა ველარ მოეხერხე-ბინა, მაინც არ ემორჩილებოდა და ბოლოს ჯავრით მოკვდა..

ოჰ, რა ტანჯული და, იმავე დროს, რა ლამაზი, რა დიდებული იყო სიკვდილი მისი!..

* * *

გავიდა დრო...

ბარტყებს ადრევე შეჰკვეცეს ფრთები, დაამრეს კვანჯები... მათი თვალთა გამოხედვა, ზიზღი, რისხვა ისეთი თავზარ დამცემი აღარ იყო, როგორც მათი დიდებულ დედისა...

მოთვინიერდნენ ..

ამათი ბარე ოთხი თაობა აღზარდეს, ყველას თანდათან ფრთებს აძრობდენ, კვანჯებს ამტვრევდენ, ნისკარტებს უკოდავ-დენ...

* * *

დიდი ხანია, რაც ეს ამბავი მოჰხ ა.

სიჭაბუკე გაჰქრა... ახლა უკვე ჭაღარა მმოსავს ..

შემთხვევით შევიარე ბინაზე და ვნახე არწივის შთამომავლობა, მაგრამ ველარ ვიცან რა ჯურის ფრინველები იყვნენ: არც ბატები, არც სვავები, არც ყვავები ..

— რა ფრინველია, ძმობილო? ვკითხე სარქალს.

— არწივები, ბატონო! .

— თუ... ინდოურები?! სწორედ ინდოურები არიან...

— დიაღ, ძალიან, მოშინაურდნენ, არწივებს აღარა ჰგვანან, ველარც ჰფრენენ... ლამის მ.რტიამ დაჯაბნოს და ყვანჩალა ხომ სუ არაფრად აგდებს...

— ნუ თუ თვის წინაპ.რთ ველარ დაემსგავსებიან?

— ვინ იცის!.. იქნება... თუ გავააზატეთ, ფრთები აღარ ვაკვეცეთ, ფრენას შევაჩვიეთ.. ნისკ:რტებიც შევარჩინეთ...იქნება!

...და შემზიზლდა ვერაგი ადამიანი, მონობის მომგონი და ბორკილთ გამომჭედი! .

რად, რად დაიჭირეს არწივის ბარტყთა წინაპარი, რად დააძრეს ფრთები, რად დაჰკოდეს?!.

არწივი მიწას მ.ეკრა, ველარ ჰფრენს უსაზღვრო ცაში, ღრუბელთ ზევით, მზისკენ ..

და, გულდათუთქულმა, თვალი ავარიდე არწივის ბარტყებს: ახლა მძაგს მეზიზღება, აღარ მინდა შევხედო დიდებულ ფრინველის მონად ქმნილ შთამომავლობას, დამონებულ თაობას!..

**იოსებ იმედაშვილი**

---

# ცრემლების კრიალოსანი

**(დამტვრეული პოემები)**

(გაგრძელება. იხ. თ. და ც“ № 40)

10 ნოემბერი

**ოლიკო!** მომიახლოვდი, კუდრაჭავ! აგერ იმ ტყეს ხომ ჰხედავ, უტეხ და ნისლოვან ტყეს; ჰო.და ვინ რა იცის, რომ ის საოცნებო და კეთილი ტყე ხშირად ყაჩაღებს და გამცემებს იფარავს ხოლმე?. ჩემო ცუღლუტო! ეგ წამწამებიც ხომ ტყესა ჰგავს, უტეხ და ნისლოვან ტყეს, და მაგ შენს თვალებს — ყაჩაღ და ჯაშუშ თვალებს — ვინ რა იცის, რომ შენი წამწამებიც იფარავენ ხოლმე?

13 ნოემბერი

**თიკო!** ამას წინად ერთი წერილი მივწერე „იმას“, სადაც, სხვათა შორის, გაკვრით ვეხებოდი „მის“ უცნაურ საქციელს ჩემდამი. საზოგადოთ უნდა გითხრათ, მე ჩვეულებად არა! მაქვს, როცა ვისმეს წერილსა ვწერ, იმანაც უსათუოდ სამაგიერო გადამიხადოს. . ნუ თუ საკმარისი არ არის, რომ ჩემს წრფელ ნაფიქრ-ნაგრძნობს წრფელად ვუზიარებ ჩემს ნაცნობ-მეგობრებს! მე იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ ვწერ იმას, რასაც ვგრძნობ. და სწორედ ამით აიხსნება, რომ იმ ჩემს საცნაურ წერილზე უცნაური პასუხი მივიღე, რომლის ზოგიერთა სიტყვას ხაზი გაუსვი, (სულ წვრილი ხაზი) და ისევ უკან დაუბრუნე პატრონს, ასლი კი აქ მომყავს! ყური დაუგდე: „თუმცა თქვენ პასუხს არა მთხოვთ, მაგრამ რამდენიმე სიტყვით მაინც გიპასუხებთ: გმადლობთ, დიდათ გმადლობთ, რატომ კარგად არ მოიფიქრეთ, იქნება შეიძლებოდა კიდევ რაიმე ისეთი წინადადება ჩაგერთოთ თქვენს წერილში, რომ უფრო მეტი შეურაცხყობა მოგეყენებინათ. შეგიძლიანთ ესეც არ მაკმაროთ, ტყუილს ტყუილი დაუმატოთ, იფიქროთ და ილაპარაკოთ ჩემს შესახებ, რაცა გსურთ... მე ყველაფრის ღირსი ვარ! რასაკვირველია მე ვარ ყველაფერში დამნაშავე. ამას კი გეტყვით, რომ თქვენ იცრუეთ ჩემს წინაშე. თქვენ არავითარი გრძნობა არა გქონდათ ჩემდამი, თორემ ამისთანა სიცრუეს და უსვინდისობას არ დამწამებდით. მე ყოველთვის ეჭვი მქონდა, არა მჯეროდა, თქვენი წრფელი გრძნობა და მართლაც, რომ ეს ყველაფერი მოგონილი იყო თქვენ

მიერ. რატომ არ გაწითლდით, როდესაც დასწერეთ ეს სიტყვა: „ჩამითრიეო“! სირცხვილი! სირცხვილი! ჩემს შესახებ რა სვთქვა! კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა. რაც შეეხება წერილებს, შეგიძლიათ ჩემს შემდეგ ჩემს მემკვიდრეებს გამოედავოთ.“ როგორ მოგწონს ჰა, ხომ ხელოვნური პასუხია? ის იმ წუთსაც კი უარჰყოფს, როცა ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა, და განა ამის შემდეგ ღირს იმასთან უბრალო მეგობრობაც კი?! და ის წუთი ხომ ორივესთვის უნდა ძვირფას მოგონებად დარჩეს? „იმას“ ჰგონია ჩვენს წარსულს გავახმიანებ, ნუ შიშობს. ისე დავდუმდები, ვით საფლავის მარმარილო. ან და რა, შესახელება თუ!.. „იმან“ ჩემს თვალში დაჰკარგა ნდობა და დამცირდა სხვა ფეხ-მსუბუქა დედაკაცებივით, „იმან“ ჩემს თვალში გაიტეხა სახელი, თორემ ისე კი—„ის“ ხალხის თვალში იგივეა, რაც იყო: ლამაზი, კეკლუცი, ყარყარა, ტანანაცქვეტი, მადიანი, ვნებით ალესილი და კეთილი აღმზრდელი... მიკვირს, რათ მოუნდა თავის თავის წმიდანათ გასაღება? ჩვენ შევცდით, დანაშაული ორივეს მიგვიძღვის და შეცდომის გასასწორებლად ერთადერთი გზა გვაქვს: არც ეგ უნდა გათხოვდეს და მე ხომ არასოდეს არ დავიწერ ჯვარს? და რაც შეეხება წერილებს, ალბად ვერ გაიგო—მე ვწერდი: თუ ჩემი წერილების დაწვა მოისურვო, დამავალე და ისევ მე დამიბრუნე მეთქი.. ხომ მოგეხსენებათ ქ-ნო თიკო! დედას რაც უნდა უღირსი შვილი ჰყავდეს, მაინც უყვარს თავის „სიყვარულის ნაყოფი“ და მეც ხომ მიყვარს ჩემი წერილები, რომლის შინაარსიც ისე ამომაქვს გულიდან, ვით მეზღვაურს ზღვის ფსკერიდან ფერადი მარგალიტები?.. და რათ, რათ უნდა დაიწვას სიჭაბუკის სასიყვარულო უსტარი? რათ? რათ?

18 ნოემბერი

**ანეტ!** მე მიყვარს მხოლოდ სამი ჰანგი, რომელიც ყველა მუსიკალურ ჰანგს მირჩევნია, ამ გა მასთან ყველა ბაიათი ფას! პირველი: როცა ჩვენ ეტლში ვსხედვართ, № 23 ეტლში, და ცხენების ბაკაბუკს რომ ვჩრდილავთ ჩვენის ამბორით. მე ამას დავარქვი: „ცხოვრების მუსიკა“. მეორე: როცა დახალულ ნუშს აკნატუნებ, – ამას დავარქვი: „სიყვარულის მუსიკა“ და მესამე: პირის ბანის დროს კბილების გამოსავლებლად რომ ჩაიგუბებ პირში წყალს, როცა ააჩუხუხებ და როცა ის წყალი პირში ზამბახებად იშლება-იხსნება, აი ეს ჩუხჩუხი მიყვარს, რომელსაც დავარქვი: „სიცოცხლის მუსიკა“ დიახ, ანეტ! სამი ჰანგი მიყვარს, მხოლოდ სამი ჰანგი, რომელთანაც სხვა ყველა მუსიკალური ჰანგი ფას!

20 ნოემბერი

**კატო!** შარშან ზამთარს ერთი ქალი მიყვარდა (მგონი შენც იცნობ). ლამაზი იყო ის დალოცვილი! ის მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობდა, მე კი სათავად-აზნაურო გიმნაზიაში. ის ხშირად შებაასებოდა რომელიმე გამოჩენილ მუსიკოსზე და მეც ხშირად ვეკამათებოდი ჩვენებურ მწერლებზე. ვსტკბებოდით ერთმანეთის მასლაათით, და უნდა გენახა, რა მშვენიერი იყო როცა გაჯავრებული აილეწებოდა ჩემთან კამათის დროს. იცი, თუ გინდა ქალი ლამაზად მოგეჩვენოს, ხანდისხან უნდა გააბრაზო ხოლმე და ვსტკბებოდით ერთმანეთის მუსაიფით, მაგრამ ვის ღირსებია საუკუნო ბედნიერება, რომ მე დავიქადო? ოთხ თვეს ვიყავით ასე: იანვარი, თებერვალი, მარტი და აპრილი, შემდეგ კი მშობლებმა საგარაკოდ წაიყვანეს იცი! შორიდან უფრო მიყვარდა და ვოცნებობდი ჩემს შორეულ ახლობელზე. თურმე აგარაკსა და სიყვარულს, ერთმანეთში დიდი კავშირი ჰქონიათ. ჰო, ვწერდი წერილებს.. დიაღ, თითქმის ყოველ დღე ვუგზავნიდი მხატვრულ ლია ბარათებს შესაფერ კაზმულ სიტყვაობით. მხოლოდ ერთი რამე მიკვირს: წერილს წავიღებდი და მუსიკალურ სასწავლებელთან რო ფოსტის ყუთია, იქ ჩაუშვებდი ხოლმე. და განა სულ ერთ არ იყო?.. მაგრამ არა! გავივლიდი კარგა შორს მანძილს (ხომ იცი, სადაც ვცხოვრობ) და მაინც და მაინც მის სასწავლებელთან აკრულ ფოსტის ყუთში ჩაუშვებდი ხოლმე წერილს... იცი, მის გადამკიდეს ჩემი სიყვარულიც კი მიყვარდა და რა გასაკვირველია, რომ ფოსტის ყუთიც შემყვარებოდა?.. ხომ?



(დასასრული შემდეგ ნომერში)



მსახიობქალი მარო მდივანი

ბენეფისის გამო ქუთაისის თეატრში 20 ქრისტ.)

ხუთმეტი წელიწადია, მ. მ-ნი სამშობლო თეატრს ერთგულად ემსახურება, თბილისის, ქუთაისისა თუ სხვა სცენებზე. ამ ხუთმეტი წლის განმავლობაში, ნიჭიერი თამაშით, არა ერთგზით დაუტკბია საზოგადოება. ჩვენს სცენაზე იგი ცნობილია ვითარცა ბეჯითი, დაუღალავი, თავგამოდებული მუშაკი და ასეთის მუშაკობით უკვე საპატიო სახელიც დაიმსახურა ჩვენს საზოგადოებაში. თვის საბენეფისოდ 20 ქრისტეშობისთვეს სდგამს ვ. შალიკაშვილის ორიგინალურ პიესას „უნიადაგონი“, რომელიც ჩვენის საზოგადოებრივ ცხოვრების მწვავე საკითხვებს ეხება. იმედია საზოგადოება თანაგრძნობით შეეგებება სამშობლო სცენის ერთგულ მუშაკის სადღესასწაულო წარმოდგენას.

## მეც მწამს...

მეც მწამს... მეც ვიცი, დრო დაგვიდგება
სამარადჟამო სიხარულისა—
არწივის ფრთებზე განიავდება
სევდა, ვარამი ობოლ გულისა
და ნანგრევებზე აღიმართება
ტაძ.რი ტურფა სიყვარულისა!..

**გ. ლეონიძე**

# სინათლე

## ნაწილი მეორე

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 40.)

### სურათი მესამე

დეკორაცია მესამე სურათისა, მხოლოდ წისქვილი სრულიად ჩაქცეულა.—ნელ ნელა იკრიბებიან გლეხები. მათ შორის შემოდიან **პირველი, მეორე** და **მესამე გლეხნი.** ხალხი სხვა და სხვა კუთხიდან შემორბის თავზარდაცემული, დაფლეთილი ზოგს პირისახე დასისხლიანებული აქვს, ზოგი დაჭრილია ღრუბლები ირევა. შორს ელვა და ქუხილი.

**პირველი გლე ი** აქედ, აქედ მეთქი... აქ ვერ მოგვაგნებენ...

**მეორე გლეხი** (კოჭლობს) ოჰ, რა მოგვივიდა... ზეცა და ჯოჯოხეთი—ორივ ჩვენი წინაღმდეგია... ნეტა რა დავაშავეთ?. (ხალხი შეჯგუფდება)

**მესამე გლეხი.** იმ თავითვე გეუბნებოდით... არა გამოვა რა, ვერას გავხდებით მეთქი... რა შეგვიძლიან?... ნამდვილი ქაჯები სდარაჯობენ კოშკს .. ტყუილად ვიჟლიტებით, ვიხოცებით... აბა, ახლა მთელ ქვეყანას დაერევიან და სულ გაანადგურებენ...

(ხალხში ხმაურობაა, ისმის ხმები: „ცოლშვილს ამოგვიჟლეტავენ, ქვეყანას გააოხრებენ“)...

**მეორე გლ.** აქ რაღას მოვრბოდით?.. ისევ ჩვენ ჩვენს ოჯახებში ჩავიკეტებოდით, ცოლ-შვილს დავიცავდით!..

**პირ. გლ.** მოიცათ, ადამიანებო!.. არ უნდა მოვიფიქროთ რა გზას დავადგეთ?.. იმდენად გაგვანადგურეს, რომ ვეღარც ცოლშვილს უშველით და ვერც ვერავის... ქაჯი მცველები კოშკს არ მოშორდებიან... ყველა ოჯახობა ხომ მთებში დავმალეთ და თუ ისედაც გაოხრებულ ჩვენს სახლ-კარს მიწასთან გაასწორებენ, რა ვქნათ... ბრძოლა—ბრძოლაა... მსხვერპლი ყოველთვის იქნება... ხომ გადაწყვეტილია: ან უნდა მთლად დავიხოცნეთ, ანდა ოქროს შანდალი ხელში ჩავიგდოთ...

**მეს. გლ.** ეგ ხშირად გაგვიგონია.. აი შენი ჭირიმე, ვწყდებით, ვიჟლიტებით და ოდნავაც კი ვერ მიუახლოვდით რკინის

### იუზა ზარდალიშვილი სხვა და სხვა როლში



ჰამლეტი



ყობო

კოშკს და კიდეც რომ მიუახლოვდე რითი უნდა დაანგრიო ი კოშკი?..

**მეორე გლ.** მოთავე, წინამძღოლიც არა გვყავს. . ყველა საქმეს პატრონი უნდა... ვინც გვყვანდა, დაიხოცნენ, სული მაგას შეალიეს... ჩვენ ერთმანეთში ვერ მოვრიგებულვართ .. ერთი ალთას მეორე ბალთას გაიძახის...

**მეს. გლ.** ადამიანო, ქაჯებს და ჯოჯოხეთს როგორ უნდა ებრძოლო?. ვერც წინამძღოლი და ვერც ბელადი გიშველის... ალბად ასეა დაწესებული, რომ ჩვენ ქერქში ვეყარნეთ.. ჩვენთვის არ არის ოქროს შანდალი გაჩენილი . (ხალხში ხმებია: „რა დროს ეგაა? გვითხარით, როგორ მოვიქცეთ, რა ვქნათ?“)

**პირვ. გლ.** მართალია ახლა ლაპარაკი გვიანღაა... რაკი საქმეს შეუდექით, ბოლომდის უნდა მივყვეთ... ავირჩიოთ წინამძღოლი და ვცადოთ კიდევ ერთხელ... ან ყველანი გავწყდეთ ან გავიმარჯვოთ. .

(ხალხი ყვირის: „ავირჩიოთ წინამძღოლი, ავირჩიოთ!“

**მეს. გლ.** მოიცა, ხალხო, მოიცა!.. ვთქვათ აირჩიეთ .. ვთქვათ სასწაული მოახდინა და ჩაიგდო ხელში შანდალი... მერე ისევ ის დღე არ დაგადგებათ?.. ერთი ბატონის მაგიერ მეორე გაგიჩნდებათ... ძლიერია ოქროს შანდალი, მაგრამ იგი სწამლავს ადამიანს... (შემოდიან მეწისქვილე და არსენა)

**პირვ. გლ.** (დაინახავს) ხალხო, ეს ვიღაა?. საიდან გაჩნდნენ?.. (ხალხი მიბრუნდება და ოდნავ გაიწევს წინ)

**მეწისქვ.** შვილო, ხალხის ხმა მესმის... ჩანჩქერის ხმა მეცნოზა... ნუ თუ მოვედით უკვე?..

**პირვ. გლ.** ვინა ხარ, ბიძია, საიდან მოდიხარ?

**მეწისქვ.** უსინათლო ვარ, ვერასა ვხედავ... მითხარი, ძმობილო, რა ალაგასა ვართ? ..

**პირვ. გლ.** ძველ წისქვილთან. . წითელ მუხიანს რომ ეძახიან, იმ ადგილასა ვართ...

**მეწისქვ.** (მუხლზე დაეცემა) გმადლობ, შენა, უზენაესო!. . მეღირსა სამშობლოში მოსვლა... (ემთხვევა დედამიწას)

(ხალხში ხმაურობა: „ვინ არის?..“ „საიდაურია?“)

**მეწისქვ.** (არსენას) შვილო, მიმიყვანე წიქვილის კართან, მინდა შევეხო, ვეამბორო ჩემს ძველს ბუდეს...

**მეორე გლეხი** (მივარდება) ბიძია! შენ, შენ!.. საიდან?. (ხალხი შემოერტყმება მეწისქვილეს)

**პირველი გლ.** მკვდრეთით აღსდექი, ბიძია! .. საიდან გაჩნდი?., ან ეს ჭაბუკი ვინღაა?..

**მეწისქვ.** მიმიყვანეთ ჩემს წისქვილთან, მინდა ვეამბორო...

**მეორე გლეხი**—ეხ, ბიძია! დაიქცა მთლად შენი ძველი ბუდე, კარები დალპა... აღარ არის.,.

**მეწისქვ.** დაიქცა...დალპა? .მე კი ცოცხალი ვარ!.. არა უშავს-რა... ძველი ლპება, ნიადაგს ანოყიერებს, ამზადებს ნორჩი ახალი ყლორტებისათვის... დეე დაინგრას, საძირკვლად დაედოს ახალს შენობას .. ოხ, შვილო, ახლა კი შევისვენოთ.. დიდი გზა გამოვიარეთ. . (დაჯდება. ხალხიც გარშემო შემოუსხდება)

**პირვ. გლ.** დიდი ხნის მკვდარი გვეგონე, ბიძია. , გვიამბე შენი თავგადასავალი ..

**მეორე გლ.** ის კი გვახსოვს, რომ მტარვალთ ხელში ჩავარდი და იმას ვერ მოვიფიქრებდი, რომ მათ გადაურჩებოდი!..

**მეს. გლ.** ამდენს ხანს სად იყავ ბიძი, საიდან მოდიხარ?.

**მეწისქვ.** ძმანო! მე უბედურს მეღირსა ბედნიერება.. ვიყავ სინათლის ქვეყანაში, იქიდან მოვდივარ... (ხალხი აიშლება. მღელვარება. ხმები: „რაო?.. სინათლის ქვეყანა?.. რას ამბობს?...“)

**მესამე გლ.** ბიძია, მაგას ნუ. გული ისედაც დაკოდილი გვაქვს,. ზღაპრები აღარ გვჯერა.., დიდი ხანია გვესმის: „სინათლის ქვეყანა!“ მაგრამ იქიდან შველა არ გვინახავს.... გაგვიცრუვდა იმედები...

**მეორე გლ.** ოცნებაში ნუ ჩაგვაგდებ... იმედებით ნუ გვატყუებ... თუ კი ოქროს შანდალს ხელთ ვერ ვიგდებთ, ვერც სინათლის ქვეყანა და ვერც ვერაფერი გვიშველის ...

**მეწისქვ.** (არსენას) უთხარი, შვილო, დააჯერე!.. დაარწმუნე, რომ იქიდან მოვდივართ... უთხარი, რომ შველა მოგვაქვს... უთხარი, რომ გამარჯვების სიომ დაჰქროლა არე-მარეს... აღადგინე სულით დაცემულნი... შთაბერე სული მხნეობისა, სული გამარჯვებისა.... სურვილი ბრძოლისა!...

**არსენა.** ნუ თუ არ გჯერათ სინათლის ქვეყნის ძალა?.. ნუ თუ იმდენად დამარცხდით, რომ აღარაფრის იმედი გაქვთ... ძლიერია სინათლე, იგი დაამხობს სიბნელეს... სიბოროტეს..

**მეს გლ.** გვსმენია ეგეები... აკი მთელი ჩვენი სიცოცხლე მაგისთვის ვიბრძოდით... მაგრამ ვერას გავხდით... სულ სინათლის იმედებით ვიყავით... მაგრამ მაინც ვერა გვეშველა რა....

**მეორე გლ.** შენ ჯერ ახალგაზდა ხარ.. ულვაში არ მოგვსლია და ჩვენ კი მთელი სიცოცხლე მაგისთვის ვიბრძვით..

**პირვ. გლ.** არას შეუშინდებით... ახლაც მზადა ვართ შევაკლათ თავი.. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ბევრით სჯობია ..

**მეწ სქვ.** აგრე, აგრე .. მაშ რაღას დგეხართ?... რათ ჰკარგავთ დროს?.. წავიდეთ!.. მე უსინათლო გამოგყვებით... მეც მინდა სული შევაღიო და ვეზიარო წმინდა საქმეს... (ადგება)

**მეს. გლ.** ბიძია, უსინათლო ხარ, ვერა გვხედამ, თორემ ნახამდი რა მდგომარეობაშიც ვართ. ეხლაც ბრძოლის ველიდან გამოვიქეცით.. ათასობით დაიხოცა ჩვენი ხალხი... ჩვენ გადავრჩით, მაგარამ ვაი ამ გადარჩენას...

**მეორე გლ.** ეს პირველი არ არის.. ბევრჯელ მიგვიტანია იერიში, მაგრამ მუდამ დავმარცხებულვართ... ან რას გავხდებით?.. ქაჯებსა და ჯოჯოხეთს ვერ შევებრძოლები..

**პირვ. გლეხი** სირცხვილი ჩვენთვის... ნუ თუ მართლა ისე დავეცით სულით, რომ სახელოვანი სიკვდილი კი არ ძალგვიძს?!. არა, არა... ან გამარჯვება ან სიკვდილი... დეე, სულ ამოგვჟლიტონ.. ისევ ეს ემჯობინება ჩვენს ახლანდელ სიცოცხლეს!.

(ხმები ხალხში: „მზადა ვართ!.. დავიხოცნეთ ან გავიმარჯოთ!“)

**მეწისქვ.** აგრე, აგრე!. ნუ გაიტეხთ გულს.. რწმენა, რწმენაა საჭირო.. თუ რწმენა არ არის, ვერას გახდები... სინათლის ქვეყანა და მისი ძალა შეგეწევათ, ვერ გაუძლებს მას ვერც ჯოჯოხეთი და ვერც ქაჯი..

**მეორე გლ.** უფრო მეტნი ვიყავით, რწმენაც დიდი გვქონდა, მაგრამ ვერას გავხდით... ადამიანო, გეუბნები პირველი არ არის.. უწინ წინამძღოლები მაინც გვყავნდნენ... ახლა ვინ არის?..

**არსენა.** ნუ თუ თქვენში ვერვინ გამოდგება წინამძღოლად?.. თუ კი ერთსულოვანად, ძმურად შეერთდებით, წინამძღოლიც ადვილად აღმოჩნდება!..

**მეს. გლ.** ერთსულოვანად?.. საქმეც მანდ არის და!.. წინამძღოლებიც გვყავნდნენ, მაგრამ ვერ იქმნა ერთს გზას ვერ დავადექით.. თითქოს შევთანხმდებოდით, ყველა მოწადინებული იყო, ყველა მზად იყო თავი დაედო დავაწყობდით რაზმებს, შევემზადებოდით. მივიდოდით კოშკთან და... სწორედ აქ ავირეოდით ხოლმე, სწორედ აქ დაგვიბნევდა ეშმაკი გონებას.. ერთი იძახდა, მარჯვენა გზით მოუაროთო, მეორე მარცხენა

# ომში დაჭრილნი



ეფრ. ნესტ კვიჟინაძე



უნტ.-აფ. ნიკ. გურგენიძე



უნტ.-აფ. ივ. ბერიძე

გზისკენ გვითითებდა... მესამე ღამით ქურდულად გვირჩევდა მიპარვას.. ზოგი გაიძახოდა: „ნება, ნება, თანდათანობით უნდა მივადგეთ კოშკსაო“... ყველა გზა ვცადეთ.. მარჯვნივ წავედით — ისე აგვერია გზა და კვალი, ისე დავიბნიეთ, რომ ბოლოს ხელცარიელნი დავბრუნდით... მარცხნივ გავსწიეთ და ისეთ კლდეებსა და უფსკრულებს მივადექით, რომ ბევრმა ჩვენგანმა კისერი მოიტეხა... ვითომ თანდათანობითაც დავიწყეთ მოქმედება, მაგრამ ვიდრე ნახევარი გზა გავიარეთ, ნახევარზე მეტი მებრძოლი დაგვეხოცა... ვერც ღამემ და ქურდულად მიპარვამ გვიშველა: ბნელაში ისე ავირივენით, რომ ძაღლი პატრონს ველარა სცნობდა — ერთმანეთი ამოვჟლიტეთ.. აი, ბიძია, ყველა გზა ვცადეთ, ნახევარზე მეტი ხალხი შევსწირეთ და მაინც ვერას გავხდით!.. ალბად ჩვენი ბედი ასეთია — უნდა დავმორჩილდეთ: ჩვენთვის არ არის გაჩენილი ოქროს შანდალი და სინათლე!..

**პირვ. გლ.** მხდალო! . რას როშავ?.. მაინც უნდა ვიბრძოლოთ... ან სიკვდილი ან გამარჯვება!..

(ხმები: „ან სიკდილი ან გამარჯვება! ავირჩიოთ წინამძღოლი!“)

**მეს. გლ.** მე მხდალი არა ვარ.. არც სიკვდილისა მეშინიან... გეუბნებით არა გამოვა რა... აირჩიეთ წინამძღოლი? მერე?.. ერთი ბატონის მაგიერ მეორე გაგიჩნდებათ, სინათლეს სიბნელედ გადაგიქცევთ .

**მეწისქვ.** მართალს ამბობ, ძამიავ!.. უფლება რყვნის პატიოსან ადამიანსაც კი.. (ადაპყრობს მაღლა ხელებს) რკინის კოშკი მხოლოდ მაშინ დაინგრევა, თუ ფოლადის კლიტეს წმიდა უმანკო სისხლი მოხვდება. . მსხვერპლი წმიდა, მსხვერპლი უმანკო... მსხვერპლია საჭირო! .

**მეორე გლ.** ცოტა მსხვერპლი შევსწირეთ?. წმიდა და უმანკო ჩვენში არავინაა,..

**პირვ. გლ.** (მოუბრუნდება ხალხს) ხალხნო, დროს ნუღარ ვკარგავთ... ხომ ფიცი დავდეთ: „ან სიკვდილი ან გამარჯვება“ — მაშ ავირჩიოთ წინამძღოლი!..

**ხმები:** „ავირჩიოთ, ავირჩიოთ!.. ვინ იქნება წინამძღოლი?“

**მეწისქვ.** (არსენას წინ წააყენებს) აი, თქვენი წინამძღოლი!.. მართალია, იგი ახალგაზდაა, მაგრამ სინათლის ქვეყნიდან მოსული, სინათლის შუქით გაბრწყინებული, იგი გაიკვლევს გზას, იგი მიაღწევს რკინის კოშკს... მას ვერას ავნებს ქაჯთა ისრები, უძლური იქნება ჯოჯოხეთი!..

**პირ. გლ.** მაშ გაუმარჯოს წინამძღოლს!...

**ხალხი:** „გაუმარჯოს, გაუმარჯოს!..“

**პირვ. გლ.** აბა, მაშ ჭაბუკო გაგვიძეხ და ჩვენც მოგყვებით... ან სიკვდილი ან გამსრჯვება!

**ხალხი:** „ან სიკვდილი ან გამარჯვება!“

(მღერიან ბრძოლის სიმღერას. მიდიან)

ფ ა რ დ ა

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# დიქცია

## სუნთქვა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 36

სტიპჟოფენი*) აგვირგვინდა შვეიცარელ ჩიჩერინებს თავის დაუღალაობით მთაზე ასვლის დროს „ჩემი საიდუმლო სულ უბრალოა,—ამბობდა სტიპჟოფენი: კარგად ვიცი შესუნთქვა და ამოსუნთქვაო".

გამოჩენილმა მომღერალმა რუბინმა ხომ ეს ხელოვნება უმაღლეს წერტილამდის აიყვანა. ისე სუნთქავდა, რომ საზოგადოებას არ ესმოდა.

როგორ ისწავლა? ამას გენიოსი ტალმა**) გვაცნობებს.

---

*) საფრანგეთის გამოჩენილი მსახიობი

**) ტალმა (ფრანსუა-ჟოზეფ),—საფრანგეთის დიდებული მსახიობი. ერთხელ ტალმას მისბაძის გრაფმა ჰკითხა: რამდენი წლისა ხარო? „პასუხის მაგივრად ტალმამ რამდენიმე წიგნი გადმოიღო და აჩვენა, პირველში ეწერა: ფრანსუა-ჟოზეფ ტალმა დაიბადა ლონდონში 17 იანვარს 1766 წ., მეორეში: ფ. ჟ. ტალმა დაიბადა თხუთმეტ იანვარს 1760 წელს, მესამეში: ტალმა დაიბადა პარიზში 1762 წ. იანვარში, მეოთხეში: ჟ. ფ. დაიბადა თხუთმეტ იანვარს 1767 წ. ეს რო წავიკითხე, ვუთხარ რომელია ამათში მართალი მეთქი? ტალმამ ღიმილით მიპასუხა: „მეგობარო მსახიობს როგორც ლამაზ ქალს, წლოვანობა არა აქვს მსახიობი იმდენივე წლისაა, რამდენის ის პირი, რომელსაც თამაშობს: ხან ოტელოს წლოვანობა აქვს, და ხან რომეოსიო". საზოგადოთ მიღებულია, რომ ტალმა დაიბადა პარიზში 1763 წელს თხუთმეტ იანვარს. ტალმა ჯერ კბილის ექიმად იყო, მერე მხოლოდ ოცდა ხუთი წლისამ დაიწყო თამაშობა. ჯერ საკომიკო როლებს თამაშობდა, მხოლოდ შემდეგ სატრაგიკო როლებს მიჰყო ხელი, რაშიაც ეგრე გაითქვა სახელი. პირველად ტალმამ შემოიღო ნამდვილი საეპოქო ტანისამოსი ეტარებინათ ხოლმე მსახიობთ სცენაზე მაგალითად ნერონის როლში, ნერონის ეპოქის ტანისამოსის ჩაცმა პირველად ტალმამ გაბედა. რასაკვირველია, ბევრი ლანძღეს, მაგრამ მან თავისი არ დაიშალა. ტალმა ნაპოლეონ პირველის გულითადი მეგობარი იყო იმ ხანებში, მინამ ნაპოლეონი იმპერატორად გახდებოდა. ნაპოლეონი ჯერ ისევ ოფიცრად იყო ტალმას რო უთხრა; „დამაცადე ცოტა ხანს და იმპერატორების წინ გათამაშეფო. მეფეთ პარტერი დაგიგდებს ყურს." ტალმას სიცილად არ ეყო. ნაპოლეონი იმპერატორად რო გახდა, პირობა შეასრულა: ტალმამ ითამაშა მეფეთა პარტერის წინ ნერონის როლი 1808 წელს. ტალმა გარდაიცვალა 1820 წ. ტალმაზე იმდენი წიგნია დაწერილი, რომ მხოლოდ მათ სათაურების კითხვას კაცი ბარე ორ საათს მოუნდება.

ეს შესანიშნავი მსახიობი ჯერ ისევ სულ ახალგაზრდა იყო, როცა დიტროს ცნობილ პიესაში (ოჯახის მამა) უმთავრეს როლს თამაშობდა. როცა მივიდა დიდ მონოლოგთან (მოქმედება მე II, სც IV): „1500 ფრანკი შემოსავალი და ჩემი ქალი სოფიო?.." და ესხვა დაიწყო, ჯერ ეს ერთი, მაღალ ტონზე და შემდეგ თან და თან მაღალ ტონზე ადიოდა მონოლოგის დაგვარად; ბოლოს ხმა რო აღარ გაუწვდა,—ყვირილი მორთო.

ერთ გაათავა, საცოდავი დაღლილ-დაქანცული კულისებში დეკორაციას მიებჯინა და... გამეხივით ქშინავდა..,

— სულელო, სულელო—უთხრა მოლემ,*) რომელიც იქვე იდგა: ტრაგედიების თამაშობაც რომ უნდა!.. მოდი ხვალ ჩემთან, მე გასწავლი, როგორც უნდა დაუღალავად დიდი მონოლოგების კითხვა.

ტალმა, რასაკვირველია, წავიდა. მაგრამ, არ ვიცი, მასწავლებელი იყო მოუთმენელი თუ მოწაფე, იმისაგან ვერაფერი ისწავლა.

იმავე დროს ტალმასთან ერთად თამაშობდა მსახიობი დორივალ, გამხდარ-გამხდარი, სუსტი და აგრეთვე სუსტის ხმის პატრონი; ტრაგედიებს საკმაოდ კარგად თამაშობდა, საზოგადოებასაც მოსწონდა.

„როგორ ახერხებს,—ფიქრობდა ტალმა: ეგ ბრიყვი, ეგა!.. მაგაზე ათჯერ დონიერი, ჯანმრთელი ვარ, მაგაზე ტკბილი და მდიდარი ხმა მაქვს, ეგ კი ათჯერ ჩემზე ნაკლებ იღლება!.." და სთხოვა— შენი საიდუმლო მასწავლეო...

— იმდენად ნიჭიერი ბრძანდებით, იმდენად მოსწონხარ საზოგადოებას, ბატონო ტალმა, თქვენთვის რადა სწავლაა საჭირო?— უპასუხა დორივალმა.

ტალმა, რასაკვირველია, ასეთმა პასუხმა არ დააკმაყოფილა. „დამაცადე, შე ბრიყვო, შენა— გაიფიქრა გულმოსულმა: თუ არ გინდა ნებით მასწავლო, ძალით გასწავლებინებ"...

---

**) საფრანგეთის ცნობილი მსახიობი და შესანიშნავი რეჟისორი.

ერთს საღამოს, როცა დორივალი „ზენში" ნისლაშატის როლს თამაშობდა, წარმოდგენის დაწყებამდე ტალმა სუფლიორის სამალულში შეძვრა, რათა იქიდან ეცქირა და მოესმინა ისე, რო არ შეემჩნივნა...

შემოვიდა სცენაზე დორივალიც. ტალმამ ყურები აცქვიტა. დიდის გატაცებით ადევნებდა თვალყურს დორივალის თვითეულ მიხვრა-მოხვრას, ხმის ინტონაციას, და აღტაცებული ჰნიშნავდა ყოველისფერს. სწერდა თვის უბის წიგნში. ცნობილ უშველებელ მონოლოგის შემდეგ (მოქმ. I, სც. III) ტალმა აღელვებული გამოვარდა სუფლიორის სამალულიდან, კულისებში მხიარულად დაიწყო სირბილი, და როგორც ოდესღაც არქიმედი, გაიძახოდა: „ევრიკა, ევრიკა"!..

რა იპოვნა, რა შენიშნა: ის იპოვნა და ის შენიშნა, რომ დორივალის მთელი ნიჭი გამოიხატებოდა მხოლოდ იმაში, რომ კარგად იცოდა შესუნთქვა და გამოსუნთქვა.

აი რას ამბობს თვით ტალმა თავის მემუარებში: „ჰაერს ხელმეორედ ჯერ კიდევ მაშინ შეისუნთქავდა ხოლმე, სანამ პირველად შესუნთქული ჰაერი გამოელეოდა და რომ საზოგადოებისთვის არ შეემჩნევინებინა როდის შეისუნთქავდა, ამასთანავე არ დაეკარგნა ფრაზის აზრი, ხელმეორედ შეისუნთქავდა ხოლმე იმ ასოების წინ, რომელთა გამოსათქმელადაც პირის გაღებაა საჭირო, იმდენად, რომ თავისუფლად შესუნთქვა შესაძლებელი ყოფილიყო"... ამისთანა ასოები არის მაგალითად: ა ო.

რასაკვირველია ამ ასოების წინ შესუნთქვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სიტყვა ამისთანა ასოთი იწყება ან თავდება; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ასოს შემდეგ უნდა შევისუნთქოთ. მაგალითად:

მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა:
სიცივეს კაცი მოუკლავს
საწყალი აგერ გორავსა.

(ხალხური)

აქ შეგვიძლიან შევისუნთქოთ გორასა შემდეგ.

გარდა ამისა, შეიძლება და უნდა შევისუნთქოთ (რაღა თქმა უნდა ისე, რომ საზოგადოებამ არ შეგვატყოს) მაშინ, როცა აზრი ამის ნებას გვაძლევს, ე. ი. როცა აზრის გაგებას შესუნთქვით არაფერი დაუშავდება. აი, აქ, მაგალითად გორასა შემდეგ რო შევისუნთქეთ, აზრს არაფერი დაუშავდა.

ავიღოთ ისევ ის მაგალითი, რომელიც ზემოთ გვქონდა მოყვანილი.

მის დროს იყო ყეინობა,
მეფე ყეინს ჰმორჩილებდა,
მაგრამ თავის ქვეყნის საქმეს
თვის ნებაზე განაგებდა.

მინამ ამათ წავიკითხავდეთ, კარგად შევისუნთქოთ ჰაერი. შემდეგ დავიწყოთ: მის დროს იყო ყეინობა (ცოტათი შევისუნთქოთ) მეფე (ძალიან, ძალიან ცოტათი შევისუნთქოთ) ყეინს ჰმორჩილებდა (კიდევ ცოტათი შევისუნთქოთ) მაგრამ (კიდევ ცოტათი შევისუნთქოთ, შემდეგ შეუსუნთქებლივ, ერთისა ხმით:) თავის ქვეყნის საქმეს თვის ნებაზე განაგებდა. (კარგა შეისუნთქეთ და თუ გნებავთ განაგრძეთ).

**გიორგი ჯაბადარი**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# კომპ. პ. ფოცხვერაშვილის კონცერტი

(7 ქრისტ)

სასულიერო და საერო კონცერტი შესდგა „სარტ. საზ საკონცერტო დარბაზში. მოლოდინის წინააღმდეგ კონცერტს იმოდენა ხალხი მოაწყდა, რომ უზარმაზარ დარბაზში ტევა არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ფასები ძალიან მაღალი დაენიშნათ.

ეს იმის მომასწავებელია, რომ ქართველი ხალხი ეროვნულ მუსიკაში განიცდის აღორძინების ხანას, რომ ხალხს დაუდგა ის დრო, როდესაც მას აღარ აკმაყოფილებს არც უცხო ჰანგი, არც სადა ხალხის ქმნილება, არამედ მას სურს თავისი სულიერ მოთხოვნილების დასამაყოფილებლად მოისმინოს ეროვნული ჰანგები, დამუშავებული ახლანდელ მუსიკალურ ტეხნიკის მიხედვით.

რამდენად ეს ხალხის სულიერი მოთხოვნილება მართლდება, რამდენად ჩვენი კომპოზიტორები ფეხ და ფეხ მისდევენ ხალხის სულისკვეთებას და ხელს უწყობენ მის ესთეტიურის მხ-

რის დაკმაყოფილებას, ამას დავინახავთ იმ პროგრამის გარჩევით, რომელიც კომპოზიტორმა ბ. ფოცხვერაშვილმა შეასრულა აღნიშნულ საღამოს.

მაგრამ ვიდრე პროგრამის გარჩევას შევუდგებოდეთ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მომეტებული ნაწილი საზოგადოებისა (ეროვნების განურჩევლად) ძალიან კონსერვატიულია, ე. ი. თუ მას ყური ან თვალი შეჩვეული აქვს ერთს რომელიმე ფორმაზე, იგი ვერ ურიგდება, ან ძალიან ძნელად ურიგდება ამ ფორმას რაიმე ცვლილებას. თუ საზოგადოება აღზრდილია სადა ეროვნულ სიმღერებზე, მას იგივე სიმღერები ჰარმონიზაციით და ორკესტრით ესმუხება, ვერ ურიგდება და ხან-კი სრულიადაც ვერა სცნობს თავისად. ეს იმის მომასწავებელია, რომ ნაწილი საზოგადოებისა მუსიკალურად დაბალ საფეხურზე სდგას; მაგრამ იგივე საზოგადოება მუსიკალურ ნაწარმოების დაფასებაში დიდ მონაწილეობას იღებს და აზრის მსვლელობას სხვა და სხვა მიმართულებას აძლევს, ხანდის-ხან ძალიან შემცდარს და მავნებელს.

ამისთანა მოვლენას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ამ მოვლენამ უკვე თავი იჩინა ხსენებულ კონცერტზე, როდესაც კითხვა ეხებოდა კომპოზიტორის ჰარმონიზაციებსა და მის ფუგას.

ახლა თვით კონცერტზე.

ჩვენ პირველ განყოფილებაზე (სასულიერო) აღარ ვილაპარაკებთ, რადგანაც ამაზე მსჯელობა უკვე გვქონდა წინა კვირის ნომერში. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ განყოფილებამ ყველაზედ უფრო მშვენივრად და მწყობრად ჩაიარა.

მეორე განყოფილებაში ყველაზე დიდი ყურადღება მიიქცია მეოთხე ნომერმა „ლილე“ (სვანური ჰიმნი). ეს სიმღერა უორკესტროდ რომ გვეშინჯოთ, განვცვიფრდებით როგორც მისი სიდიადით, ისე მისი მუსიკალური კონსტრუქციით. ორკესტრით ეს სიმღერა მომხიბლავ შთაბეჭდილებას სტოვებს. აკომპანიმენტი ისე ნიჭიერად და ხელოვნურად აქვს კომპოზიტორს გაკეთებული, რომ თვით „ლილე“ იჩრდილება და მსმენელის მომეტებულს ყურადღებას აკომპანიმენტი იპყრობს. უცხო კაცს ჰგონია, თითქოს პიესა ორკესტრისათვის არის დაწერილი და გუნდი კი აკომპანიმენტს უმღერის. ეს დიდი უნარია კომპოზიტორის მხრივ, მაგრამ სიმღერის ჩაჩრდილვაც ცოდოა.

სრულიად მეტი იყო მოთავსება პროგრამაში ბ. კლენოვსკის-მიერ გადაღებულ სიმღერებისა: „რერო“ და „მერცხალი“, ჯერ იმიტომ, რომ ეს სიმღერები კონცერტების რეპერტუარში თითქმის 20 წლის განმავლობაში შედის, მეორე კიდევ იმიტომ, რომ იგინი ვერ სტოვებენ მსმენელზე ჯეროვან შთაბეჭდილებას, მით უფრო, რომ „მერცხალი“ს ვარიანტი სუსტად უნდა ჩაითვალოს; არის ამაზედ უკეთესი ვარიანტები ნ. ბერიშვილისა და ია კარგარეთელისა. ესენი რომ აელო ბ. ფოცხვერაშვილს და დაემუშავებინა ორკესტრზე, უფრო კარგ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

პროგრამის სხვა ნომერზე (ფუგას გარდა) ჯერ არას ვიტყვით, ვიდრე მათ არ მოვისმენთ წესიერად მომზადებულს. იმ სახით-კი, როგორც ისინი იყვნენ ასრულებულნი 7 ქრისტეშობისთვეს, ცუდს შთაბეჭდილებას სტოვებენ, მიუხედავად იმისა, რომ პირველი განყოფილებაც და დანარჩენი ორიც ბ. ფოცხვერაშვილს ეკუთვნოდა. აქედამ ის უნდა დავასკვნათ, რომ კომპოზიტორს ვერ წავართმევთ ლოტბარობის და ორგანიზატორობის ნიჭს და თუ მაინც და მაინც ორმა უკანასკნელმა განყოფილებამ სუსტად ჩაიარა, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ ბ. ფოცხვერაშვილის გარედ, მაგრამ აქ ამაზე ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია.

დანარჩენ შთაბეჭდილებაზე და აგრეთვე ფუგაზე, როგორც ახალს, მაგრამ მძიმე მოსანელებელს ხილზე, შემდეგ ნომერში ვილაპარაკებთ.

**გ. საყვარელიძე**

# ხაშურის თეატრის გარშემო

მეორე წელიწადია, ხაშურში ქართული დრამატიული წრე არსებობს, სცენის-მოყვარეებთან ერთად მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში ისეთი თვალსაჩინო ნაბიჯი არ გადაუდგავს, როგორიც ახალმა გამგეობამ წელს გადასდგა. ხაშურის მუდმივი ქართული დრამ. წრე დაარსდა 1913 წ. ხაშურის სცენის მოყვარეთა და მოწინავე-თანამგრძნობ საზოგადოების-მიერ. წრემაც მუშაობა დაიწყო: აირჩია ცხრა კაცისაგან შემდგარი გამგეობა და პირველ ხანობაზე თეატრა

ლური ხელოვნების საქმეც მუყაითად სწარმოებდა, ტანისამოსები შეიძინეს, წარმოდგენები სისტემატიურად იდგმებოდა, მაგრამ საქმე სასურველად ვერ იყო. ახალი გამგეობის არჩევით, რომლის თავმჯდომარე ინჟენერი ბ. კონ. იორ. ძნელაძეა, საქმეს გამოცოცხლება დაეტყო. ხაშურის დრამატ. წრე წარმოადგენდა დღევანდლამდე მოხეტიალე თეატრს, რადგან არც საკუთარი სათეატრო შენობა და არც ნაქირავები სცენა არ გააჩნდა, იძულებული იყო ყოველ-გვარი დაბრკოლებით ედგა. ხან აქ და ხან იქ წარმოდგენები; ახალმა გამგეობამ ნოემბრიდან დაიქირავა ვ. ჯაფარაშვილის სათეატრო შენობა მთელის წლით. ბ. გ. ძნელაძე ენერგიულად შეუდგა სცენისა და თვით დარბაზის გადაკეთებას, დეკორაციების ხატვას, ბუტაფორიის შეძენას და არავითარ შრომას არ ზოგავს ჩვენი დარაბი თეატრის საკეთილდღეოდ. ზოგიერთნი ჯერ-ჯერობით შორიდან აღმაცერად შეჰყურებენ ამ სათეატრო დარბაზს, თითქმის არც კადრულობენ იქ გამართულ ქართულ წარმოდგენებზე დასწრებას, ვინაიდან მასში უფრო მდაბიო ხალხი იყრის თავს, მაგრამ როდესაც დარბაზის გადაკეთება მოთავდება და სცენაზე უფრო შინაარსიანი და მხატვრული პიესები დაიდგმის, ამ ზოგიერთთა გულციობაც გაჰქრება და ქართულს, პროვინციალურს სცენაზე დადგმულს ხელოვნურ წარმოდგენებსაც მეტის ყურადღებით მოეკიდებიან.

ვუსურვოთ ხაშურის ახალს ქართ. დრამ. წრის მთელს გამგეობას, ბ. ძნელაძის თავმჯდომარეობით, ნაყოფიერი შრომა, ხოლო ხაშურის საზოგადოებას მეტი თანაგრძნობა, რათა პროვინციალურ სცენასაც ედირსოს ბრწყინვალე დღეები.

**ნიკო გურული**

# ქართული სახიობა

**კოპოზიტორ კ. გ ფოცხვერაშვილის** სასულიერო და საერო კონცერტი გაიმართა კვირას, 7 ქრისტეშობისთვეს საარტ. საზ. საკონცერტო დარბაზში. ამ კონცერტის გამართვა მძიმე პირობებში მოხდა: გუნდისთვის შესაფერი ადგილი არ იყო, ჭერში გაეკრათ ხავერდეული, რაც შეთანხმებულ ხმიანობას არღვევდა. მიუხედავად ამისა კომპოზიტორმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა თავისი მაღალი სამუსიკო და ორგანიზატორული ნიჭი. მისი ნიწარმოებნი მდიდარია, მრავალფერი და წმიდა ხალხური სულით გაჟღენთილი. დიდძალმა დამსწრე საზოგადოებამ ხანგრძლივის ტაშით დააჯილდოვა ეს ქართველი მუსიკის დევ-გმირი მუშაკი. განსაკუთრებითი ყურადღება მიიქცია სასულიერო განყოფილებამ „დიდება მაღალთა შინა“-მ, „ღმერთი უფალი და წმ. ნინოს ტროპარიმ-მ“, სასოებით შესრულებულმა და მრავალმეტყველმა; საეროთ—„ლილე“-მ, „ვახტანგ მეფე“-მ, პროგრამის გარეშე საზოგ. თხოვნით შესრულებულმა „კერპთა დამხობიდან“ (ქურუმთა და ქურუმ-ქალთა საღმრთო როკვა და ჭექა-ქუხილი). ზოგიერთი ნომერი გაამეორებინეს კიდეც. მისი ახალი რთული მუსიკალური ნაწარმოები „მუმლი მუხასა“ (ფუგა) და „კუჩხა“ ვერ შესრულდა მთლიანობით კონცერტი დასრულდა „გოგონათი“ (პროგრამის გარეშე). მართლა კაცი ჯადოსანი უნდა იყოს, რომ ასეთი რთული სიმღერები შეასრულოს ახალგაზრდა მოწაფე ქალ-ვაჟთა გუნდის და ორკესტრის დახმარებით, ურეპეტიცოდ. როგორც პატივცემულმა მუსიკოსმა გამოაცხადა—სასულიერო მთავრობამ თვის მოწაფეთ კონცერტში მონაწილეობის ნება მისცა, მაგრამ რეპეტიციის საშუალება-კი თითქმის მოუსპო. ჩვენი მდიდარი მუსიკა ახლად მუშავდება ევროპიულის წესით, ყოველი მისი ნაბიჯი ჩვენის მუსიკის წინსვლას მოასწავებს და ამიტომ ფრიად საჭიროა ამ ასპარეზზე მომუშავეთ ხელი შევუწყოთ. უნდა ყველამ ვიცოდეთ, რომ სანამ ჩვენის ხალხის სასულიერო და საერო სამუსიკო შემონაქმედი ევროპიული წესით არ დამუშავდება, ვიდრე მასალა არ მოგროვდება, ძნელია რაიმე რთული სამუსიკო ნაწარმოების შექმნა. ამ მხრით დიდათ საქებარია კომ. კ. ფოცხვერაშვილი, ეს თავისებური თვითშემოქმედი ხელოვანი, რომ დაუღალავად მუშაობს: მის ღვაწლს ალბად მომავალი და მუსიკის საუკეთესო მცოდნენი დააფასებენ ღირსეულად. მრავლად დამსწრე საზოგადოების შორის სასულიერო წოდების წევრნიც იყვნენ, მაგრამ ძლიერ ნაკლებ: ნუ თუ ქართველი სასულიერო წოდება ალარაა?

**უსავანო**

**სახალხო სახლში** სახალხო წარმოდგ. მმართვ. წრემ, კვირას, 7 ქრისტეშობ, წარმოადგინა ბელოის „უმუშევარნი“, რომელიც თავისი შინაარსითა და იდეით უსაქმოდ დარჩენილ, ნივთიერად ხელ-მოკლე, ხოლო პატიოსნებით მდიდარ ახალგაზრდა მუშაკთ გვაცნობს. გამოსახული ფაქტები ცხადყოფაა მუშათა ცხოვრებისა, ყოველი სიტყვა, თავისი სინამდვილით, მშრომელი მასის გულში ორკეც გამოძახილს იწვევს და ამის დამატკიცებელია ის გარემოება, რომ ამ პიესას ყოველთვის დიდძალი საზოგადოება ესწრება...

ამ საღამოს სადა და ბუნებრივი იყვნენ ქ. ანკარა, ბ. ნინიძე (მეკუბოვე) და რომანიშვილი მეკუბოვეს მსახური). ბ. ფრონისპირელს ეგორისათვის ხელს მრავალი ღირსება უწყობს, ხოლო მეტად ერთხმოვანად და გაბმით ლაპარაკობდა. ბ. მეტრეველის ვასიამ ვერ

დაგვაკმაყოფილა, რადგან ჩვეულებრივ ერთფეროვნად მოქმედებს და ნიჭის პროგრესიულ მსვლელობას ყურადღებას არ აქცევს... მოკეთე

**ავლაბრის სახალხო სახლში 7 ქრისტ.** ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქმნი „ფული და ხარისხი", კომ. 3 მოქ. აზიანისა და „მათიკო" მე-3 მოქ. ავ. ცაგარლისა.

**ავჭალის აუდიტორიაში** გასულ შაბათს, 6 ქრისტ. სცენის მოყვარეთა მიერ, მსახიობ ალ. ყაზბეგიშვილის მონაწილეობით და ი. ხაშმელის რეჟისორობით, წარმოდგენილი იქმნა „და-ძმა". ამსრულებელთა შორის აღსანიშნავია ალ. ყაზბეგიშვილი, რომელმაც თავისებური განმარტებით დიდის ხელოვნებით ადასრულა ოტია კოლოიას როლი. კარგები იყვნენ აგრეთვე ალ. გოგიაშვილი (გაიოზი), ქ-ნი ყურული (მარინე), ს. გოგიაშვილისა (გადია), რ. სალაყაია (ფაშა-ეფენდი), ლოლაძე (გიორგი) და კიაზოშვილი (ადამია). დანარჩენნი ვურჩევთ როლები უკეთ შეისწავლონ ხოლმე. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო და ამსრულებელნი ტაშით დააჯილდოვა. ეს მესამე წარმოდგენა იყო ადგილობრივ წრის მმარ. გამგეობის მიერ გამართული. გამგეობის მიზანია — მუდამ კვირას გამართოს იაფ-ფასიანი წარმოდგენები და ამით დააკმაყოფილოს ადგილობრივ უბნელთა მოთხოვნილება. სასურველია, ჩვენმა მსახიობებმაც შეიარონ ხოლმე სახალხო სახლის ამ პირველ საძირკველში მსგავსად ალ. ყაზბეგიშვილისა, რომელმაც უზომო მადლობა დაიმსახურა. დ-ე

# წვრილი ამბები

**ქართ. მსახიობთა ამხანაგობის** წარმოდგენა „არტისტ. თეატრში" 10 ქრისტ. ვერ გაიმართა მსახიობთაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო...

**მეორე კონცერტი კომპოზიტორ კ. ვ. ფოცხვერაშვილისა** გაიმართება სახალხო სახლში შაბათს, 20 ქრისტეშობისთვეს. ამ კონცერტზე შესრულებულ იქმნება 7 ქრისტეშობისთვეს საარტისტო საზ. დარბაზ. შესრულებული ნომრები, ორი ახალი რომანსი და სიმფონიური პოემა „ამირანი" (ბაყბაყ დევი), ცოცხალი სურათებით. (სურათებს დასგავს რეჟისორი ალ. წუწუნავა) ამავე კონცერტზე შესრულებულ იქნება ქართული ჰანგები სხვა და სხვა უცხო ოპერებში მოთავსებული კონცერტის დაწყებამდე კ. ფოცხვერაშვილი წაიკითხავს „ამირანი"-სა და „მუმლი მუხასა„-ს თემატიურ გარჩევას.

**ლექტორი ალ. გარსევანიშვილი** ქართ. მსახიობთა ამხანაგობის სასარგებლოდ ამ მოკლე ხანში ლექციას წაიკითხავს ქ. ტფილისში.

**ახალი პიესა „გაწყვეტილი სიმი"**, გარდელისა, წარმოდგენილ იქნება ქართველ მსახიობთა დასის მიერ სახალხო სახლში 17 ქრისტეშობისთვეს

**კ. ფოცხვერაშვილს წმინდა შემოსავალი** 7 ქრისტეშობისთვეს გამართულ კონცერტიდან ჰქონდა 800 მანათამდე.

**სასულიერო საგალობელთა კრებულის** გამოცემა განუზრახავს (გასულ კვირას გამართულ კონცერტის შემოსავლით) კომ. კ. ფოცხვერაშვილს. კრებულში მოთავსებული იქნება თვით კ. ფოცხვერაშვილისა და სხვა ქართველ მუსიკოსთა ნაწარმოებნი

**სახალხო სახლის სექციათა** შეერთებულმა სხდომამ 7 ქრისტეშობისთვეს კრებაზე დაადგინა ქართ. მსახიობთა ამხანაგობის დასს იანვარში ორი დღე დაუთმოს. ამის გამო დასის რეჟისორი ალ. წუწუნავა ქალაქის გამგეობაში იყო და დასის გაჭირვებული მდგომარეობა აუხსნა. ხმოსან პართენ გოთუას თავგამოდებული მეცადინეობით ქალ. გამგეობის წევრებმა თ. ა. მ არღუთინსკი-დოლგორუკოვმა და ბ. ჯაბარმა რეჟისორს აღუთქვეს ეგ დღეები შეგისრულებთო.

**მარო მდივნის ბენეფისი** ქუთაისის თეატრში გაიმართება 20 ქრისტეშობისთვეს.

**„ქართული თეატრის ისტორიის"** გამოცემა განიზრახა ჟურ. „თეატრი და ცხოვრების" რედაქციამ. წიგნის შედგენის სურვილი გამოსთქვეს ი. გედევანიშვილმა, ივ. გომართელმა, ივ. მაჭავარიანმა და ვახ. ღამბაშიძემ ჩვენ ცნობილ მწერალ-მსახიობთა და სხვათა თანამშრომლობით.

**ქართული თეატრის ფონდის** სასარგებლოდ საოდარიგო ჯარის კაცმა, საზის დამკვრელმა ალ. არშ ოგანეზაშვილმა შემოსწირა ხუთი მან.

**ივ. გიგოშვილი** მომავალ შაბათს, 20 ქრისტეშ. მუსულმანთა აუდიტორიაში ქართული თეატრის ფონდის სასარგებლოდ სდგავს თავის ორიგინალურ ახალ პიესას „შურისძიება"-ს. ადგილების ფასი 60 კ.-ან-20 კაპ.-დე.

**მსახიობმა ი. ივანიძემ** ავლაბრის სახალხო თეატრში რეჟისორობას თავი გაანება.

**ახალგაზდა მგოსანმა ი. მჭედლიშვილმა** დასწერა ახალი ორიგინალური პოემა „ახალი ღმერთი". პოემა წაკითხულ იქმნა მგოსნის მახლობელთა შორის, რომელთაც ძლიერ მოეწონათ.

**სომხურ ჟურნალ „პატანი"-ს (ჭაბუკის)** 1914 წ. მეოთხე ნომერში, სხვათა შორის, მოთავსებულია ი. გრიშაშვილის „ღამე ტყეში", სომხურად თარგმნილი გრ. გრიქორიანის მიერ.

**ახალი პიესა** „დამსხვრეული კერპი", დრამა 5 მოქ. დასწერა დ. შენგელაიამ.

**მწიგნობრობა**

**მივიღეთ** ახალი წიგნაკი „გახსოვდეს წერა-ლაპარაკის დროს ქართული გრამატიკის წესები, პეტრე მირიანაშვილის მიერ პირველად გამოცემული" თბ. 1914 წ. 31 გვ. ფ. 10 კ.

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

| წელიწადი მესამე | **მიიღება ხელმოწერა 1915 წ.**<br>ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ | წლიურად 5 მ.<br>ნახევარი წლით 3 მან. |
|---|---|---|

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

ჩვეულებრივის პროგრამით **ივ. გომართლისა** და **იოს. იმედაშვილის** რედაქციით,

**იოსებ გედევანიშვილის, ივანე მაჭავარიანის, ვახტანგ ღამბაშიძის** მახლობელი მონაწილეობით და ჩვენი საუკეთესო დამსახურებულ ახალგაზრდა კრიტიკოსთა, სიტყვა-კაზმულ მწერალთა, მსახიობთა, მუსიკოსთა და ხელოვან-მხატვართა თანამშრომლობით. იუმორისტული განყოფილებით **და** შარჟებით.

**„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფურ-დასურ მიმართულების გარეშეა** ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-ს ხელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. **ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა**

**ფ ა ს ი:** წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., თითო ნომერი **10** კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს **2** მ., მარტის გასვლამდე **2** მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

**ხელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—**7** ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„განთიადი“**-ში, **„ცოდნას“** წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში — **ალ. ძაძამიასთან.**

**მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი:** 1 გვ. მორიგებით, 2, გვ. კორპუსის პწკარი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ., 4-ზე—15 კ. ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Іосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

---

## დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

# კედლის კალენდარი 1915 წ.

შედგენილი **გრ. ჩარკვიანისა** და **მ. გაჩეჩილაძის** მიერ.

# სახალხო კალენდარი 1915 წ.

შედგენილი **მ. გაჩეჩილაძის** მიერ.

ვისაც სურს გასასყიდათ გამოიწეროს კალენდარი მან უნდა მიმართოს შემდეგის ადრესით: თბილისი სტამბა „სორაპანი“ **მ. გაჩეჩილაძეს.**


---


სტამბა „სორაპანი“ Типографія „Сорапанъ“




(წ. —36) 4—2

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა

# ჭაჭუ ჯორჯიკიას

ნაწერები. ვსთხოვთ აგენტებს დაუყონებლივ გაასწორონ ანგარიში. რომელი აგენტისაგანაც 1 იანვრამდე ანგარიშს არ მივიღებთ, მათ სახელ და გვარს გაზეთში გამოვაცხადებთ, ხოლო წიგნს კი არ გაუგზავნით. ანგარიში უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქუთაისი, თბილისის ქუჩა, კონსტანტინე ჯორჯიკიას. სხვა მისამართით გამოგზავნილი ფული თავის დანიშნულებას ვერ მოხმარდება.

(4-2) **გამომცემლები**

---

**სამეც. პედაგოგიური და სალ. ჟურ.**

# „განათლება"

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.**

(წელიწადი მერვე)

გამოვა ყოველ თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვაკაზმულ მწერლობიდან; ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

წლიურად 4 მან. სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხვ 3 მ. საძღვარგარეთ 6 მ.

ჟურნალის ცალკე განყოფილებაში იბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში:** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის" რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში ის. კვიცარიძესთან.

**მისამართი:** Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. **Л. Г. Боцвадзе.**

რედ.-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე

---

**მიიღება ხელმოწერა 1915 წ.**

**საყმაწვილო ჟურნალზე**

# „ნაკადული"

(წელიწადი მეთერთმეტე)

**ხელის მოწერა მიიღება ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციაში.** გოლოვინის პროსპექტზე ზუბალაშვილის სახლში № 6, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მაღაზიაში, თავ.-აზნ. ქარვასლა)

1915 წლის 1-ლ იანვარიდან 1916 წლის 1-ლ იანვარამდე წლიური ხელისმომწერლებს მიეცემა: მოზრდილთათვის 12 წიგნი 3. მან მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მან.

**რედაქტორი ნინო ნაკაშიძისა. გამომცემელი თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

---

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „სახალხო ფურცელი"

(სურათებიანი დამატებით)

წლიურად ღირს 8 მან. 50 კ., ერთის თვით 75 კ.

**პირველ დეკემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 75 კ.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კ.

**მისამართი:** Тифл., газ. »Сахалхо Пурцели«, почт. ящ. № 190.

---

**დაიწყო ხელმოწერა 1915 წ.**

**სალიტ.-საპოლ. და ეკონომიურ გაზეთ „შრომა"-ზე** წელიწადი მეორე

გაზეთი 1915 1 იანვრიდან **გამოვა ყოველდღე** წინანდელი რედაქციით. გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ ახალი ძალები.

წლიურ ხელის მომწერლები პრემიად მიიღებენ ბიქტორ ჩერნოვის წიგნს „ფილოსოფიური და სოციოლოგიური ეტიუდები" (ქართულ ენაზე, 300 გვ.) არა ხელის მომწერლებისთვის წიგ. ეღირება 2 მ.

**გაზეთის ფასი:** წლით—7 მ. ნახევარწლით—4 მ. ერთი თვით 80 კ. ცალკე ნომერი 5 კ., საზღვარ გარედ ორჯერ მეტი. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა შეუძლიათ ნაწილ ნაწილ, ხელის მოწერისას—3 მ. 1 აპრილს—2 მ. 1 ივნისს—2 მ.

რედაქცია ღიაა ყოველდღე დილ. 9—2 ს. საღ. 5—8 ს.

მისამართი: წერილებისა და ფულისათვის: Кутаис, ред »ШРОМА« почт. ящ. № 47.

---

საპოლიტ. და სალიტ. გაზეთი

# ახალი აზრი

**გაზეთი ღირს:** 1 წლით—7 მ., 6 თვით—4 მ. 3 თვით—2 მ. 50 კ., 1 თვით თბ.—80 თბ. გარეთ—90 კ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი.

**კანტორის ადრესი:** თბილისი, ორბელიანის ქ. № 36

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Георгію Григср. Бежіашвили** Тифлисъ, Орбеліановская ул., № 36.

სხვა ადრესით ფულს რედ. ვერ მიიღებს. რედაქციის კან. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილ. 12—1 ს., საღ. 5—6 ს.